საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კედია სპირიდონ მალხაზის ძე

ს. კედია

კედია სპირიდონ მალხაზის ძე (20. IX. 1884, ზუგდიდი, – 17. V. 1948, პარიზი, დაკრძალულია ლევილში), საზოგადო მოღვაწე, პოლიტიკოსი, პუბლიცისტი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე. სწავლობდა ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში. 1905 სასწავლებლიდან გარიცხეს გაფიცვებისა და *პოლიტ.* დემონსტრაციებში მონაწილეობისათვის. ზუგდიდში დაბრუნებული გლეხთა საპროტესტო გამოსვლების ორგანიზატორი გახდა, რის გამოც მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. კ. დროებით სვანეთში მიიმალა, შემდეგ ჩერქეზეთში გადავიდა. 1906 კ. საფრანგეთში ჩავიდა და კოლეჟ დე ფრანსის მსმენელი გახდა, 1907 კი სორბონის უნ-ტში შევიდა (სპეციალობა – ბუნების შემსწავლელი მეცნიერება), ისმენდა ლექციებს ტულუზის უნ-ტშიც, დაამთავრა მონპელიეს უნ-ტი.

I მსოფლიო ომის დაწყების გამო სამშობლოში დაბრუნება გადაწყვიტა, თუმცა რუსეთში დააპატიმრეს. მისი გათავისუფლება პეტერბურგის ქართ. კოლონიის წევრთა ძალისხმევით გახდა შესაძლებელი.

1914 კ. თბილისში ჩამოვიდა. 1915 წ. 24 მაისს აქვე, მისი თაოსნობით და იმდროინდელ მრეწველთა თანადგომით, ეროვნ. და დემოკრ. მიმართულების ჟურნ. „კლდის" ბაზაზე გამოსვლა დაიწყო გაზეთმა „საქართველომ", რ-თანაც სხვა გამოჩენილ მოღვაწეებთან

ერთად კ-ც აქტიურად თანამშრომლობდა.

კ-მ თანამოაზრე ჯგუფების შესაკავშირებლად შეიმუშავა ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულების *პოლიტ.* პარტიის შექმნის გეგმა. 1917 მარტში ჩამოყალიბდა საორგანიზაციო კომიტეტი, 4–10 ივნისს ეროვნულ-დემოკრატთა I ყრილობაზე იგი თავ-რედ აირჩიეს. 1917 კ. დანიასა და შვედეთში ჩავიდა „საქართველოს გათავისუფლების კომიტეტთან" შესახვედრად. დაბრუნებული აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს ეროვნ. საბჭოს საქმიანობაში.

1918 მაისში კ. მონაწილეობდა ბათუმის საზავო კონფერენციაში, საიდანაც, როგორც დამოუკიდებელი ქართ. სახელმწიფოს ოფიციალური დელეგაციის მდივანი, გერმანიაში გაგზავნეს.

კ. იყო საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი. ოპოზიციაში ედგა მმართველ (სოციალდემოკრატიულ) პარტიას. აკრიტიკებდა მის საგარეო და საშინაო, განსაკუთრებით კი, პერიფერიებთან ურთიერთობის პოლიტიკას. იყო ოპოზიციური ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქციის ლიდერი.

1921 ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის შემდეგ კ. საქართველოში დარჩა. 1922 თებერვლისთვის იგი ამზადებდა მასშტაბურ საპროტესტო დემონსტრაციას, რისთვისაც დააპატიმრეს. გაათავისუფლეს მხოლოდ უცხოეთში წასვლის პირობით. 1923 სტამბოლიდან კ. საფრანგეთში ჩავიდა, სადაც განაგრძობდა *პოლიტ.* მოღვაწეობას. კ. მუ-შაობდა გ. მაჩაბლის პარფიუმერულ კომპანიაში. მისი მიზანი იყო "ქართველთა მთლიანობის აღდგენა ემიგრაციაში". 1925 დააარსა ჟურნ. „სამშობლოსთვის", 1932 კი – გაზ. „საქართველოს გუშაგი".

ემიგრაციაში მყოფ კ-თან ოჯახმა [მეუღლე – სოფიო ჩიჯავაძე, ქალიშვილი თეო] მხოლოდ 1928 შეძლო ჩასვლა.

II მსოფლიო ომის (1939–45) დროს კ. მონაწილეობდა გერმანიის მიერ შექმნილ ქართ. ეროვნული კომიტეტის საქმიანობაში.

წყარო: სპირიდონ კედია. მასალები პირადი არქივიდან, თბ., 2007.

ლიტ.: ჯ ა ნ ე ლ ი ძ ე ო., სპირიდონ კედია. პოლიტიკური პორტრეტი, თბ., 2002.